პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 სექტემბერი ოთხშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 222 (14826)

ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ — ᲛᲗᲕᲐᲠᲔ — ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ

„ᲚᲣᲜᲐ-16“ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲠᲐᲙᲔᲢᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 1970 წლის 21 სექტემბერს მთვარიდან სტარტი აიღო „ლუნა-16“ ავტომატური სადგურის კოსმოსურმა რაკეტამ, რომელსაც მოაქვს მთვარის გრუნტის ნიმუშები.

22 სექტემბერს 10 საათზე მოსკოვის დროით კოსმოსური რაკეტა დედამიწიდან 306 ათას კილომეტრ მანძილზე იყო.

შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრს რაკეტასთან მყარი რადიოკავშირი აქვს. მორიგ სეანსებში შესრულდა ტრაექტორიული და ტელემეტრიული გაზომვები.

რაკეტის ნაკვეთურებში წნევა და ტემპერატურა გათვალისწინებულ ფარგლებშია.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘ

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ დიდი მეცნიერული და ტექნიკური ძვრების მოწმენი ვართ. საბჭოთა ხალხის კოლექტიური გენიის ნაყოფი განაცვიფრებს კაცობრიობას კოსმოსური სივრცის ათვისებაში ახალ-ახალი ტრიუმფების გამო. ერთი ასეთი ტრიუმფი გახლავთ საბჭოთა ავტომატური სადგურის „ლუნა-16“-ის რბილად დაჯდომა მთვარეზე, მთვარის ქანის ნიმუშების აღება და მთვარიდან დედამიწისაკენ სტარტის აღება. ეს მეცნიერებათა მრავალი დარგის და მათ შორის გამოთვლითი მათემატიკის დიდი მიღწევაა. ჩემს სახელზეს ვუფრთებ მეცნიერთა საერთო ტრიუმფს.

შ. მიქელაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲗᲔᲜ ᲛᲝᲛᲐᲨᲣᲠᲔᲑᲐ

მთვარეზე ახალი საბჭოთა ავტომატური სადგურის რბილად დაშვება, მისი მორჩილი მუშაობა ადამიანის ნება-სურვილის მიხედვით, მუშაობა იმდენად დახვეწილი, რომ აპარატმა მთვარის ქანის ნიმუშებიც კი აიღო, ჰერმეტიზებულ სათავსებში ჩააწყო და ახლა მით დატვირთული დედამიწისაკენ მოაშურებს, ცხადზე უცხადესი მოწმობაა იმისა, რომ ჩვენი მეცნიერება და ტექნიკა მართლაც თავისი განვითარების მწვერვალებზეა. ჩვენ დიდი მღელვარებით მოველით სადგურის უკან დაბრუნებას. ჯერ ერთი, მას მოაქვს უძვირფასესი, მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი მასალა, რომელსაც ახალი მდიდარი ინფორმაცია მოჰყვება; მეორე, ეს სადგური, შეიძლება ითქვას, ჩვენი ძველი ნაცნობია — 12 სექტემბერს ჩვენი ობსერვატორიის სპეციალისტთა ჯგუფი მეცნიერებათა კანდიდატების როლან კილაძისა და ალეშეს ხატისვილის მეთაურობით, ალექსანდრე მაიერის, ანზორ ჭუაძის, ოთარ ბოლქვაძის, სოსო ჭანტურიას და სხვათა მონაწილეობით მთელი ღამის განმავლობაში, სადამის ბინდიდან გათენებამდე ელექტრონულ-ოპტიკური აპარატურით განსაზღვრავდა და ითვლიდა სადგურის თანმიმდევრულ მდებარეობებს სივრცეში. ამგვარი განსაზღვრები, რომლებიც თავს იყრის მოსკოვის ცენტრში, საფუძველს ქმნის სადგურის ფრენის კორექტირებისათვის. გასაგებია, ჩვენ ისიც გვახარებს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის ამ დიად მიღწევაში ჩვენი ობსერვატორიის თუნდაც სულ პაწაწინა წვლილიც არის.

ე. ხარაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი.

ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲗᲔᲜ ᲛᲝᲛᲐᲨᲣᲠᲔᲑᲐ

ᲠᲐᲓᲐᲚ ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

22 სექტემბრის მოწინავე

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ორგანიზაციების ერთ-ერთი საარსებო ამოცანაა მარქსისტულ-ლენინური განათლების, პარტიის წევრთა იდეური გამოწრთობის სერიოზული გაუმჯობესება. გულმოდგინედ ახორციელებენ რა სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახულ ამ ამოცანას, მათ ბევრი რამ გააკეთეს და აკეთებენ იმისათვის, რომ პარტიული განათლების მთელი სისტემა შეესაბამებოდეს კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მოთხოვნებს.

კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური განათლების, ყველა მშრომელთა პოლიტიკური განათლების დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლა. მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის, ამჟამად მთელი საბჭოთა ხალხის ავანგარდის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ფორმირების, განვითარების, გიგანტური ორგანიზატორული, პოლიტიკური და იდეოლოგიური საქმიანობის მატიანე, რევოლუციური აზრის, გამოცდილების, გმირული ტრადიციების უმდიდრესი წყაროა. ჩვენს პარტიას დიდი, მოვლენებით აღსავსე მდიდარი ისტორია აქვს. მისი ძალა, გავლენა და ავტორიტეტი დიდი შედეგია რევოლუციონერთა იმ თაობების თავდადებული ბრძოლისა და უდიდესი შრომისა, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება მოანმარეს ხალხისადმი ერთგულ სამსახურს.

გვიჩვენებდა რა ბოლშევიზმის ისტორიული გამოცდილების მნიშვნელობას და ფმას, რომ საჭიროა თვითეულმა რევოლუციონერმა მებრძოლმა ღრმად იცოდეს ეს გამოცდილება, ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა: „არ შეიძლება შეგნებული მუშა იყოს ის, ვინც გულმავიწყ ივანესავით ეპყრობა თავისი მოძრაობის ისტორიას“, რომ სწორად ვერ მიხვდები პარტიის პოლიტიკასა და ტაქტიკას, თუ არ ჩაუფიქრდები მის ისტორიას. და ახლა მთელი ძალით გაისმის ლენინის მოწოდება — უფრო მეტი მზრუნველობით და უფრო პოპულარულად განვმარტოთ პარტიის ისტორია და ტაქტიკა. ამ მოთხოვნით განუზრახელად უნდა ხელმძღვანელობდნენ ჩვენი თეორეტიკოსთა, პროპაგანდისტთა და პედაგოგთა კადრები, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკი.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია როგორც სასწავლო საგანი შეტანილია უმაღლესი და ბევრი საშუალო სპეციალური სასწავლებლის პროგრამაში. მილიონობით კომუნისტი და უპარტიო სწავლობს მას დამოუკიდებლად, პარტიული განათლებისა და კომკავშირული პოლიტიკური განათლების სისტემაში. სახალხო უნივერსიტეტებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სხვა აუდიტორიებში, აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით სისტემატურად იკითხება ლექციები ისტორიულ-პარტიულ თემებზე. ლენინის იუბილეასთან დაკავშირებით ასეთ თემებზე უფრო ფართოდ წერს ახლა ჩვენი პრესა. საჭიროა ყოველნაირად ავამაღლოთ მთელი ამ პროპაგანდისტული მუშაობის იდეური და მეცნიერული დონე.

პარტიის ისტორიული გამოცდილების პროპაგანდასა და შესწავლაში მთავარი როლი ენიჭება მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემას. ახალი სასწავლო წელი დაიწყება სკკპ მორიგი XXIV ყრილობისათვის მზადების დღეებში, მასების საზოგადოებრივი აქტივობის ახალი ამაღლების, პარტიის პოლიტიკის, თეორიისა და ისტორიის საკითხებისადმი მათი მზარდი ინტერესის პირობებში. ეს ქმნის ხელშემწყობ ატმოსფეროს მარქსისტულ-ლენინური განათლების, მათ შორის ისტორიულ-პარტიული განათლების ყველა ფორმისა და მიმართულების შემდგომი სრულყოფისათვის. ნაყოფიერ სწავლას ხელს უწყობს საჭირო ლიტერატურის მასობრივი გამოცემა. სკკპ ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად წელს გამოშვებულია პარტიის მრავალტომიანი ისტორიის IV ტომი, „სკკპ ისტორიის“ სახელმძღვანელო, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებისათვის სასწავლო სახელმძღვანელოს ახალი გამოცემანი, წიგნის „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“ მერვე გამოცემის სამი ტომი, პარტიის საქმიანობის სხვადასხვა ეტაპისადმი, მისი დამაარსებლისა და ბელადის ვ. ი. ლენინის როლისადმი მიძღვნილი მთელი რიგი ნაშრომები.

ამრიგად, ახალ სასწავლო წელს არის ყველა შესაძლებლობა უზრუნველვყოთ ჩვენი პარტიის ისტორიის უფრო ღრმა შესწავლა, ავამაღლოთ კომუნისტთა და უპარტიო აქტივის საერთო თეორიული მომზადება მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის დარგში.

უნინარეს ყოვლისა საჭიროა მივაღწიოთ მეცადინეობის ორგანულ კავშირს ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან, განვიხილოთ ისტორიის საკითხები კომუნისტური მშენებლობის, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის, თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის აქტუალური ამოცანების მიხედვით. უნდა გამოვიტანოთ საჭირო დასკვნები წარსული წლების გაკვეთილებიდან, როცა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების მსმენელთა მთავარი ყურადღება ხშირად ექცეოდა თარიღებს, მოვლენებისა და ფაქტების დახსომებას. ამის შედეგად ბევრი მათგანი სუსტად ითვისებდა ამა თუ იმ პერიოდში პარტიის პოლიტიკისა და ტაქტიკის არსს, თავისებურებებს, ყოველთვის როდი შეეძლოთ სწორად და მთლიანად გაეთვალისწინებინათ შეძენილი გამოცდილების მნიშვნელობა ჩვენს დღეებში პარტიული ორგანიზაციების საქმიანობისათვის. აშუქებენ რა პარტიის ისტორიული გამოცდილების წარუვალ ღირებულებას, პროპაგანდისტებმა ღრმად უნდა გამარტონ მისი ლენინური პოლიტიკის მემკვიდრეობითობა და თანმიმდევრობა, კომუნისტთა ყველა თაობის რევოლუციური პრინციპების მემკვიდრეობითობა. მაგალითად, ბურჟუაზიული იდეოლოგიების, მემარჯვენე და „მემარცხენე“ რევიზიონისტების წინააღმდეგ თანამედროვე ბრძოლაში არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ მენშევიკებთან, ტროცკისტებთან, მემარჯვენე ოპორტუნისტებთან და სხვა მტრულ ჯგუფებსა და მიმდინარეობებთან იდეური ბრძოლის გამოცდილება. სწავლის პროცესში საჭიროა ბოლომდე ვამხილოთ ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები, ჩვენი პარტიის სახელოვანი წარსულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ცდები.

თანამედროვე პრობლემებთან მჭიდრო კავშირით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლის მატიანის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ცალკეული რაზმების — მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების, სამხარეო და საოლქო პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ მასალების გამოყენებას. ადგილობრივი მასალები საშუალებას გვაძლევენ უფრო სრულად და ყოველმხრივ განვიხილოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გზა მთლიანად, უფრო ნათლად დავინახოთ თვითეული პარტიული ორგანიზაციის დღევანდელი კონკრეტული ამოცანები.

პარტიის ისტორია მუდამ იყო და არის მამაცი, მტკიცე მებრძოლებისა და ახალი საზოგადოების მშენებლების იდეური აღზრდის მძლავრი საშუალება. იგი გვასწავლის თავდადებით ვიბრძოლოთ, ძალღონე და შრომა არ დავიშუროთ ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, კომუნიზმის ნათელი იდეალებისათვის. იგი გვასწავლის კლასობრივ მიდგომას თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი ერთგულებას, ჩვენი კლასობრივი მტრებისადმი, იდეური მოწინააღმდეგეებისადმი შეურიგებლობას. იგი გვინერგავს რევოლუციურ ოპტიმიზმსა და ჩვენი დიადი საქმის სისწორისა და უძლეველობის რწმენას.

ლენინის პარტია მტკიცედ მიდიოდა და მიდის წინ, ეყრდნობა რა თავის ისტორიულ გამოცდილებას, განუწყვეტლივ ამდიდრებს მას ახალი თეორიული მიღწევებით. ამ გამოცდილების დაუფლება, სკკპ ისტორიის ღრმად შესწავლა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმია მოქმედებაში, იდეურად აიარაღებს კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლაში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ



კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ისტორიაში. აზერბაიჯანის სსრ დელეგაციის ჩამოსვლა თბილისში საბჭოთა აზერბაიჯანისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით კაცმა საბაბი გახდა მოძმე ხალხებთან ახალი შეხვედრებისათვის. შეხვედრები, ურთიერთობა, გაცნობა კი მეგობრობის საფუძველია.

ქართველი ერის ცხოვრების უკეთ გაცნობა იმის საბაბი გახდა, რომ აზერბაიჯანელი ხალხის ჯამოჩენილმა შვილმა მირზა ფატალი ახუნდოვმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი საქართველოს. მისთვის საქართველო მეორე სამშობლო გახდა. აქ შექმნა მან თავისი შესანიშნავი ნაწარმოებები. აქ, საქართველოში სამარადისოდ განისვენებს იგი. ამიტომ არის, რომ ასე უყვართ და აფასებენ მას ქართველები.

22 სექტემბერს მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის წარმომადგენლები იყვნენ ახუნდოვის საფლავზე და ყვავილებით შეამკეს ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მომღერლის ძეგლი.

ეს საფლავი, — განაცხადა აზერბაიჯანის სახალხო პოეტმა რასულ რზამ, — ჩვენი ხალხების მარადიული ძმობის სიმბოლოა.

— ქართული მიწა, რომელიც ასე გიყვარდა, — თქვა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა, — იცავს შენს სიმშვიდეს. მაგრამ მაინც შენი თვალი მიპყრობილია მშობლიური აზერბაიჯანისაკენ. შენ ძალიან გიყვარდა შენი სამშობლო, შენი ერი და ამიტომ შეიყვარე ასე ძლიერად ქართველი ერიც.

ახუნდოვის საფლავზე მოვიდნენ აზერბაიჯანის ხელოვნების მოღვაწენი, ახუნდოვის სახელობის საოპერო თეატრის მსახიობები, აგრეთვე ახუნდოვის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი.

იმავე დღეს აზერბაიჯანელი ხალხის წარმომადგენლები ბაქოში გაფრინდნენ.

თბილისის აეროდრომზე სტუმრების გასაცილებლად მოვიდნენ ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, მოსწავლენი.

გამოცილებელთა შორის იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ცხსკაია, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ო. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე დ. ბოგოხია, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ბ. ჯიბლაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანები ი. შმვარდნაძე და ბ. ანდრონიკაშვილი, გაზეთი „კომუნისტის“ რედაქტორი ფ. ბეჟანიშვილი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი შ. ყარყარაშვილი, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორი ა. ბლრციანი, გაზეთ „სოვეტ გიურჯისტანის“ რედაქტორი ბ. ფულიევი, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ენციკლოპედიურ-ფილოლოგიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები ს. ჭილაია და ი. ნონეშვილი.

სტუმრებს ყვავილებითა და მეგობრული გრძნობებით აცილებენ. მაგრამ ეს განშორება როდია, რადგან ძმები არასოდეს არ შორდებიან ერთმანეთს.

მომავალ შეხვედრამდე, ძვირფასო აზერბაიჯანელო ძმებო, მომავალ შეხვედრამდე საქართველოსა და აზერბაიჯანის მიწა-წყალზე. (საქდესი).

ᲥᲐᲠᲒᲐᲮᲐᲜᲘᲐ რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ იგზავნება შორაპანის ელექტროელემენტების ქარხნის პროდუქცია. საწარმოს კოლექტივი დგას სკკპ მომავალი XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტზე. მოწინავეთა შორის ახალგაზრდა ხარატი **რევაზ ებანოიძეს.** შვიდი წლის წინათ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა იგი საწარმოში. ახლა მისი გამომუშავების ჩვეულებრივი ნორმა 125-130 პროცენტია.

ფოტო ს. თევზაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲩᲔᲛᲝ ᲓᲔᲓᲐᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲗ!

ᲐᲮᲚᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘ

რუსთავი. (საკ. კორ.). მუდამ ახლის ძიებაშია მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს კოლექტივი. მერემონტებმა სექტემბრის პირველ ნახევარში გასულ თვესთან შედარებით 0,2 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად შემცირეს თვითღირებულება, წუნი.

ახლა საამქროში საყოველთაო ლაშქრობაა გაჩაღებული სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებისათვის. ხარატები კ. თვარაძე, ვ. გუგლია და სხვ., თვითეულ წუთს მაქსიმალურად იყენებენ.

საამქროს მაჩვენებლების ზრდაზე დიდი გავლენა მოახდინა ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმისათვის საჭირო ახალი კრისტალიზატორების დამზადების ტექნოლოგიის ათვისებამ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალი საჭრელი დაზგა, რომელიც აქ მზადდება. აგრეგატმა გამოათავისუფლა რამდენიმე მუშა და დაზოგა სამუშაო დრო.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა სეზონის გახსნის დღიდან უკვე გამოუშვა 8 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 მილიონისა, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 5 პროცენტით, გაწეულია ხათბობის, ელექტროენერგიის და დამხმარე მასალების ეკონომია, შემცირებულია პროდუქციის თვითღირებულება; მოგებამ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 74 ათასი მანეთისა 120 ათასი მანეთი შეადგინა.

ახალციხელ მეკონსერვეთა ვალდებულებაა პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება გაანაღდონ 7 ნოემბრისათვის და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ ნახევარი მილიონი პირობითი ქილა მხოლოდ უმაღლესი ხარისხის კონსერვი.

ᲛᲮᲝᲚᲝᲚᲓ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებებს აღწევს № 1 სამკერვალო გაერთიანების კოლექტივი. მკერავებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მიდდინარე წლის 8 თვის როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმები. განვლილ პერიოდში რეალიზებულია 31 მილიონ 928 ათასი მანეთის ნაწარმი, რაც 636 ათასი მანეთით აღემატება რეალიზაციის მოცულობის გათვალისწინებულ დავალებას.

გაერთიანების კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ნაკეთობათა ხარისხი და პირველი ხარისხის ტანსაცმლის გამოშვება 97,5 პროცენტამდე აიყვანა, ამასთან კიდევ უფრო აამაღლა რენტაბელობის დონე და 4 მილიონ 179 ათასი მანეთი მოგება მიიღო.

ᲛᲙᲔᲠᲐᲕᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

დედაქალაქის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივს ნაკისრი ვალდებულებით გადაწყვეტილი აქვს ხუთწლეულის მეხუთე წლის გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით გამოუშვას 635 ათასი მანეთის პროდუქცია, დიდ თარიღებამდე დარჩენილ დროში მიმხმარებელს გაუგზავნოს 500 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ფაბრიკის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო შრომითს წარმატებას მიაღწია. განვლილი რვა თვის მანძილზე საწარმოში ერთი მომუშავის შრომის ნაყოფიერება 8,4 პროცენტით გაიზარდა, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 63 ათასი მანეთით იქნა შემცირებული, ხოლო ზეგეგმითმა მოგებამ 190 ათას მანეთს მიაღწია.

საწარმოს კოლექტივის მიერ მოპოვებულ ამ წარმატებებში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით № 2, № 5 და № 6 სამკერვალო საამქროებს, რომლებსაც სათავეში ბ. მიქიაშვილი, ა. მელიქოვი და ნ. მიმინოშვილი უდგანან. შრომითს ვახტზე ასევე კარგ მაჩვენებლებს აღწევენ მკერავები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. გეარჯალაძე, ლენინის ორდენოსანი ე. გელაშვილი, დ. ჯიმუხაძე, გ. ღაჭავა, ც. ზარქუა და ე. გელიაშვილი.

4 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებებს აღწევს № 1 სამკერვალო გაერთიანების კოლექტივი. მკერავებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მიდდინარე წლის 8 თვის როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმები. განვლილ პერიოდში რეალიზებულია 31 მილიონ 928 ათასი მანეთის ნაწარმი, რაც 636 ათასი მანეთით აღემატება რეალიზაციის მოცულობის გათვალისწინებულ დავალებას.

გაერთიანების კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ნაკეთობათა ხარისხი და პირველი ხარისხის ტანსაცმლის გამოშვება 97,5 პროცენტამდე აიყვანა, ამასთან კიდევ უფრო აამაღლა რენტაბელობის დონე და 4 მილიონ 179 ათასი მანეთი მოგება მიიღო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲡᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 21 სექტემბერი. (საქდესი). დღეს აქ როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სტუმარი ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ინდოეთის პრეზიდენტი **ვარაჰაგირი ვენკათა გირი.**

22 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ინდოეთის პრეზიდენტი **ვარაჰაგირი ვენკათა გირი** მეუღლითურთ.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთულია ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ინდოეთის პრეზიდენტს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. ს. პოლიანსკი** და სხვები.

აეროდრომიდან საპატიო სტუმარი და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ ქალაქში, მათთვის გამოყოფილ რეზიდენციაში. მთელ გზაზე ქუჩები და მოედნები მორთული იყო ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. ტრანსპარანტებზე ეწერა: „გულითადი სალამი მეგობარი ინდოეთის პრეზიდენტს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხების მეგობრობასა და თანამშრომლობას!“, „მხურვალე სალამი დიდ ინდოელ ხალხს!“ (საქდესი).

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

22-25 სექტემბერს მოსკოვში ეწყობა აზერბაიჯანის დღეები, რომლებიც ეძღვნება აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომპარტიის 50 წლისთავს. ამასთან დაკავშირებით 22 სექტემბერს ბაქოდან მოსკოვში ჩავიდა რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ა. ხალილოვი.** (საქდესი).

ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 22 სექტემბერი. (საქდესის კორესპონდენტი ე. ვოსკრესენსკაია). დღეს ფაბრიკა „კრასნოე ზნამიაში“ დამთავრდა წინდების ერთდროული შეღებვის, სტაბილიზაციისა და გამოსაყენებელ აგრეგატის დამონტაჟება. მანქანამ შეცვალა მოწყობილობა, რომელზეც ეს ოპერაციები ცალ-ცალკე სრულდებოდა. ფაბრიკამ მიიღო შესაძლებლობა 15 პროცენტით გაადიდოს თხელ „ჯერონის“ წინდების გამოშვება, ამავდროულ ნაწარმის ხარისხი.

რეკონსტრუქციის შემდეგ ფაბრიკა გახდება ფართო ასორტიმენტის წინდების სპეციალიზებული საწარმო.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲛᲨᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ

21 სექტემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი შეხვდნენ ავღანეთის მეფეს მუჰამედ ზაჰირ შაჰს, რომელიც მოსკოვში იმყოფება არაოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მიმავალი.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრული ურთიერთგაგებისა და გულწრფელობის ვითარებაში ჩაიარა, განხილულ საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე აქტუალური საერთაშორისო პრობლემები. მათ კმაყოფილება გამოთქვეს, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის მეგობრული ურთიერთობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა, გამოთქვეს სურვილი კიდევ უფრო განამტკიცონ ეს ურთიერთობა ორივე სახელმწიფოსა და საერთაშორისო მშვიდობის ინტერესებისათვის.

21 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ საუზმე გამართეს ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰისა და დედოფალ უმაირას პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი და სხვები.

საუზმის დროს ნ. ვ. პოდგორნიმ და მუჰამედ ზაჰირ შაჰმა წარმოთქვეს მოკლე სიტყვები.

სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის ურთიერთობაში, აღნიშნა ნ. ვ. პოდგორნიმ, დაიწყო მეორე ორმოცდაათწლეული, და აღსანიშნავია ის, რომ ეს ურთიერთობა მუდამ ნამდვილად მეგობრული, კეთილმეზობლური ხასიათისაა. ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობას საფუძველი ჩაუყარეს ვ. ი. ლენინმა და თვალსაჩინო ავღანელმა ხელმძღვანელებმა.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნ

ანგარიშგება-არჩევნები
პარტიულ ორგანიზაციებში

როცა კრიტიკა მიზანს ხვდება

ᲖᲐᲛᲘᲓᲘ საამქრო პარტიული ორგანიზაციიდან, რომლებსაც „საქგუმბრინის“ მაღაროთა სამმართველოს საერთო პირველადი პარტიული ორგანიზაცია ერთიანებს, ერთი გუმბრინის საფქვავ საამქროშია შექმნილი.

ამ შედარებით პატარა კოლექტივს დიდი და პასუხსაგები ამოცანა აქვს დაკისრებული. მაღაროებიდან ამოღებული ნატეხი გუმბრინის ორმოცი პროცენტი აქ უნდა გადამუშავდეს და დაფქული მადანი გაიგზავნოს ჩვენი ქვეყნის ნავთობის, ქიმიური, მეტალურგიული და მანქანათმშენებლო საწარმოებში.

როგორ ართმევს თავს საამქროს კოლექტივი ამ ამოცანას, რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს წარმოების შემდგომი განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის?

ძირითადად ამაზე, პარტიის XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაზე, წარმოების ბედისათვის კომუნისტების, მთელი კოლექტივის საზრუნავ საკითხებზე გაიმართა სხვ-ბაასი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

როგორც მომხსენებელმა — საამქრო პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ბ. ჩიხლაძემ აღნიშნა, აქ მომუშავე თოთხმეტივე კომუნისტი წარმოების გადამწყვეტ უბნებზეა, მატერიალურ დოვლათს ქმნის, ბეჯითი შრომის, მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის მაგალითს უჩვენებს კოლექტივის დანარჩენ წევრებს. კომუნისტების დიდი წვლილია ჩაქსოვილი იმაში, რომ საწარმოს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის რვა თვის დავალება, გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 104 ტონა დაფქული გუმბრინი.

მაგრამ, როგორც პარტიულ კრებაზე ითქვა, ეს ციფრი სრულებითაც არ არის ზღვარი და ოდნავი თვითდამშვიდების უფლებას არ იძლევა. საამქროს ასი კი არა, ათასობით ტონა ზეგეგმითი პროდუქტების გამოშვება შეეძლო, მის კოლექტივს დაძაბულობის, შრომითი რიტმის დარღვევის, წყვეტებისა და შეფერხებების პირობებში რომ არ უხდებოდეს მუშაობა.

ეს ხომ გუშინ იყო. პარტიული კრების წინადღეს. იმის გამო, რომ 14 სექტემბერს რკინიგზის თერნალის სადგურმა (უფროსი ტ. ბაბუნაშვილი) სრულებით არ მიაწოდა ვაგონები საამქროს, საცავი კოშკები დაფქული გუმბრინით აივსო, დაფქვა შეუძლებელი გახდა, წარმოება მთელ დღეს მოცდა. არც ერთ ცვლას არ უმუშავნია. ასე იყო 12 სექტემბერსაც.

და მაინც, როგორც კრებაზე სიტყვით გამოსულებმა თქვეს, მარტოოდენ რკინიგზა როდი ეწევა უკან საამქროს ეკონომიურ მაჩვენებლებს. ფარდულში, უფრო სწორად ნედლეულის საწყობში, წვიმა ჩამოდის, დანესტიანებული გუმბრინის დაფქვა კი მძიმე ტვირთად აწვება წარმოებას — ირღვევა ტექნოლოგიური რეჟიმი, მცირდება პროდუქციის გამოშვება.

საამქროს უფროსმა ჯ. მაღლაფერიძემ გულისტკივილით ილაპარაკა ამ ე. წ. „ვიწრო ადგილზე“. მან თქვა, რომ ზედმეტად დანესტიანებული ნედლეულის გასაშრობად გაცილებით მეტ დროს ამუშავებენ საშრობ დოლებს, მთლიანად ვერ ტვირთავენ ღუმელებს, ამ მიზეზით მარტო ერთ დღეში სულ მცირე 35 ტონა დაფქულ გუმბრინს აკლებენ ქვეყანას.

ცვლის უფროსმა ი. ქებულაძემ, ზეინკლმა ბ. გოგრეზიანმა, მექანიკოსმა ნ. ამყოლაძემ, მაღაროთა სამმართველოს მომარაგების განყოფილების უფროსმა ა. აფხაიძემ თავიანთ გამოსვლებში ყურადღება გაამახვილეს ტექნიკის მოვლა-პატრონობისა და დანადგარების რემონტის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე. უკვე სამ თვეზე მეტია უმოქმედოდ დგას № 1 წისქვილი, რაც გარდა მისი გაცვეთისა, იმითაც აიხსნება, რომ ადგილზე არ მოეძებნებათ საჭირო სათადარიგო ნაწილები. წლობით ჭიანურდება მტვერდამჭერი მოწყობილობის დადგმა. ყოველივე ამის გამო ორგტორრემმა სამართლიანად გააკრიტიკეს როგორც მაღაროთა სამმართველოს, ისე რესპუბლიკური ტრესტის „საქსამთოქიმმრეწვის“ ხელმძღვანელობა.

მაღაროთა სამმართველოს დირექტორმა რ. კახიანმა სამართლიანად ცნო წარმოებისა და კერძოდ დირექტორის მისამართით გამოთქმული ეს და სხვა კრიტიკული შენიშვნები, მანვე გააკრიტიკა მომარაგების განყოფილების უფროსი ა. აფხაიძე და მექანიკოსი ნ. ამყოლაძე, რომლებიც ინიციატივასა და საჭირო მონდომებას არ იჩენენ ქარხნის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

ცვლის უფროსმა შ. გურეშიძემ და მეაპარატე ქალმა ვ. ლომსაძემ თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს წარმოების კულტურის, მუშათა საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა მხილებას.

კრების მონაწილეებმა საქმიანად იმსჯელეს საამქრო პარტიული ორგანიზაციის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობაზე. პარტიული ორგანიზაცია ყურადღებას უთმობს კრებების მომზადებასა და მის ორგანიზებულად ჩატარებას, პარტიულ მუშაობაში აბამს კომუნისტებს, ზრუნავს მათი პოლიტიკური სწავლების, სააგიტაციო მუშაობის, პოლიტიკური ინფორმაციის, პრესის გავრცელებისა და სხვა წმინდა პარტიული საქმეების უკეთ დაყენებისათვის.

მაგრამ ქარხნის კოლექტივისაგან, სადაც ბევრი მოწინავე კომკავშირელი და უპარტიო მუშაა, საანგარიშო პერიოდში პარტიის რიგებში მხოლოდ ერთი კაცია მიღებული.

კამათში ცხრა კომუნისტი გამოვიდა. თვით ეს ფაქტი, აგრეთვე გამოსვლების პრინციპული, კრიტიკული და თვითკრიტიკული ხასიათი, ნათლად მეტყველებს კომუნისტების აქტიურობაზე, მათს მზადყოფნაზე გაბედულად აიღონ ახალი მოქნები, კვლავაც იყონ წარმოების ავანგარდში.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

რატომ ჩამორჩა ქარხანა?

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ბოჭორიძე

ᲐᲛ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ბოჭორიძე რედაქციას აცნობებს: „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი განხილულ იქნა ქარხნის საამქროთა და განყოფილებათა კოლექტივების საერთო კრებებზე. ამ საკითხზე სპეციალურად იმსჯელა საწარმოს პარტიულმა კომიტეტმა. ქარხნის დირექციასთან ერთად შემუშავდა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.

პარტიული კომიტეტის წინადადებით ქარხნის ძირითად საამქროებში მუშახელის ნაკლებობის შევსების მიზნით ცალკეულ განყოფილებათა პარტიული ორგანიზაციებიდან ინტენსიტენციური პერსონალის გარკვეული ნაწილი დროებით გადაყვანილ იქნა წარმოებაში. სათადარიგო ნაწილების გამოშვების გეგმის შესრულებაში არსებული ჩამორჩენის უმოკლეს ხანში ლიკვიდაციისათვის საწარმოს ხელმძღვანელი ამხანაგები — 22 კომუნისტი — მიმაგრებულ იქნა ცალკეული დასახელების პროდუქციის დამზადების უბანზე, მათ დაიკისრათ პირადი პასუხისმგებლობა გეგმების შესრულებისათვის.

აღნიშნული, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განხორციელების მეთხებით საწარმომ აგვისტოში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 110,6 პროცენტით შესრულა, ხოლო საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 104,8 პროცენტით.

საავტომობილო ქარხნის მუშაობის ახლანდელი ტემპი სრულ გარანტიას იძლევა, რომ მისი კოლექტივი უმოკლეს ხანში კიდევ უფრო გააუმჯობესებს მუშაობას და მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრებს ხუთწლედის გადამწყვეტ წელს.

წარმოებაში მოამზადებულია ვილიონოგით მუშა

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმისა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღეს დადგენილება „წარმოებაში ახალგაზრდა მუშების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ“, რომელიც 1969–1970 წლებში მიმდინარეობდა.

ამ დათვალიერებაში მონაწილეობდა საწარმოებისა და მშენებლობების დაახლოებით 90 პროცენტი, დათვალიერების დროს მოვიდა 220 ათასზე მეტი წინადადება. რომელთა მიზანია კადრების მომზადების გაუმჯობესება. დათვალიერების მოწყობაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის მოკავშირე რესპუბლიკების, ბელგოროდის, გორკის, როსტოვისა და რუსეთის ფედერაციის სხვა ოლქების პროფკავშირული, კომკავშირული და საგანმანათლებლო ორგანიზაციები. დათვალიერების მონაწილეებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ გადიდებულიყო ახალგაზრდობის რიცხვი მომდინარე ტექნიკურ სწავლებაში. უშუალოდ წარმოებაში 1969 წელს მომზადდა 4,3 მილიონი მუშა, მათ, შორის ორ მილიონზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული. რვა მილიონნახევარზე მეტმა ქალიშვილმა და ჯაბუკმა აიმაღლა კვალიფიკაცია.

დათვალიერების პერიოდში მნიშვნელოვნად განმტკიცდა სასწავლო-საწარმოო ბაზა. მაგალითად, ქიმიურ მრეწველობაში დამატებით შეიქმნა და აღიჭურვა ოთხი სასწავლო-საკურსო კომბინატი, 265 სპეციალიზებული სასწავლო კაბინეტი, 41 ლაბორატორია, 530 საკლასო ოთახი. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სასწავლო-საწარმოო ბაზა მეტალურგიის, მანქანათმშენებლო, კვების, მსუბუქი და საფეიერო მრეწველობის საწარმოებში, აგრეთვე ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში.

დათვალიერებამ აგრეთვე ხელი შეუწყო საწარმოების სასწავლო-საკურსო ქსელის მასწავლებელთა შემადგენლობის შემდგომ განმტკიცებას, მეთოდური მუშაობის გაუმჯობესებას. ახალგაზრდობა უფრო აქტიურად მონაწილეობს წარმოების საკითხების გადაწყვეტაში, სოციალისტურ შეჯიბრებაში, ტექნიკურ შემოქმედებაში, რაციონალიზაციასა და გამომგონებლობაში. მაგალითად, ლენინგრადში ოლქის ახალგაზრდა ნოვატორებმა ერთ წელიწადში წამოიყენეს 27,5 ათასზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება, რომელთაგან 18 ათასზე მეტი წარმოებაში დაინერგა. მათი რეალიზაციისაგან მიღებული პირობითი წლიური ეკონომია 28 მილიონ მანეთს აღემატება.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროში აღნიშნეს პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების დადებითი მუშაობა დათვალიერების მოწყობაში, წარმოებაში ახალგაზრდა მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში. (საკ. დესის კორ.).

ᲡᲣᲚ ᲝᲠᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐ, რაც სამტრედიის რაიონის ბაშის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში მწველავად მუშაობს ვარდო ტყეშელაშვილი, მაგრამ მან უკვე თავისი კეთილსინდისიერი შრომით ავტორიტეტი მოიხვეჭა.

18 საფურაჟე ძროხას უვლის ახალგაზრდა მწველავი. გეგმით გათვალისწინებულ 1.570 კილოგრამის ნაცვლად ვარდომ ვალდებულება იკისრა თვითეულ ძროხაზე 1.900 კილოგრამი რძე მიიღოს.

ᲮᲣᲠᲐᲗᲝᲜᲘ: ბაშის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწველავი ვარდო ტყეშელაშვილი.

ფოტო ბ. ბერსამიასი და ი. ნანიკაშვილისა,
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲗᲒᲜᲘ

ᲑᲔᲯᲘᲗᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲛ წავიკითხე: „ის, ვინც ტყუილუბრალოდ დაკარგავს დღეში თუნდაც ნახევარ საათს, კარგად უფლებას იწოლებდეს ადამიანად“... — ეს სიტყვები ეკუთვნის უკვდავ ჩარლზ დარვინს.

ვიფიქრე: იქნებ გადაჭარბებით არის ნათქვამი ან მხოლოდ დიდ ადამიანებს ეხება? ერთხანირი ფასი კი აქვს ჩვენს პირად დროს და დიდი ადამიანის ცხოვრების ერთ საათს? მაგრამ არა, ნაკლები ღირებულებისა არც ჩვენი, რიგითი ადამიანების პირადი დროა, ჩვენი პირადი საათებისა და წუთებისაგან შედგება ჩვენი ბრწყინვალე დრო, ჩვენი უკვდავი ეპოქა. სწორედ ამიტომ თვითეული ჩვენგანის მიერ უქმად გატარებული დღე ზიანს აყენებს თავის თავს, ჩვენს საზოგადოებას. ამიტომ ყველა უნდა იწოფებოდეს მუშაობაში და მთელ თავისუფალ დროს წიგნს, სწავლას უნდა ახმარდეს.

.თუ რას შეუძლია მიაღწიოს ადამიანმა თვითგანათლებით, ამის მრავალი მაგალითი არსებობს. ისტორია იცნობს არა ერთ გამოჩენილ ადამიანს, რომლებსაც უმაღლესში არ უსწავლიათ, ან ცოტა ხანს ყოფილან სკოლაში, მაგრამ თვითგანათლებაზე დაწყებით გამხდარან მცოდნენი, ცნობილი პიროვნებები.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ არავითარი განათლება არ მიუღია, მაგრამ იგი ბეჯითი შრომითა და სწავლით დიდი გამომგონებელი გახდა. ᲚᲝᲛᲝᲜᲝᲡᲝᲕᲘ ბავშვობიდანვე გაიტაცა წიგნების კითხვამ. თავის თავზე დაუღალავი მუშაობით თავისი დროის უდიდესი ცოდნა და მარკსიზმის ერთ-ერთი დიდი თეორეტიკოსი გახდა.

ᲑᲘᲠᲚᲘᲜᲘᲡ მხოლოდ ორი კლასის განათლება ჰქონდა, მაგრამ თვითგანათლებით გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე გახდა. ყველაფერი კარგისათვის მე დავალებული ვარ წიგნებისაგან — ამბობდა იგი. — ჩემთან თვითგანათლება ცხოვრების პარალელურად მიმდინარეობს.

ᲖᲐᲠᲩᲘᲐ, ცენტრალური კომიტეტი, ვ. ი. ლენინი ყოველთვის შეუნელებელ ყურადღებას აქცევდნენ პარტიული კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეს. ბელადი მიუთითებდა, რომ პარტიული მუშაკების სწავლება და აღზრდა საერთო პარტიული საქმე, მთელი პარტიის ამოცანაა. ამის მკაფიო დადასტურებაა 1911 წლის გაზაფხულზე პარიზის ახლო, დაბა ლონჟიუმოში მისი ინიციატივით მოწყობილი პარტიული სკოლა, 1919 წლის ივლისში შექმნილი ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი, ამერიკაგაკაისის ბაქის 26 კომისრის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი თბილისში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა, სახოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია.

პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციისა და იდეურ-თეორიული მომზადების დონის ამაღლების მიზნით პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1967 წლის თებერვლიდან უმაღლესი პარტიული სკოლების - ბაზაზე ორგანიზებულია მუდმივმოქმედი კურსები სწავლების ერთდროული ეადით. ასეთი კურსები გაიარა ჩვენი რესპუბლიკის მრავალმა ათეულმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკმა.

კადრების აღზრდის, სწავლის შეანაწილებელი ფორმაა დამოუკიდებელ სწავლის გარდა სემინარები. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა რამდენჯერმე მოაწყო სემინარი პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებისათვის, განყოფილებათა გამგეებისათვის, სექტორის გამგეებისათვის, სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეებისა თ ვ ი ს. ამასთან თვითეული კატეგორიის მუშაკებისათვის ცალცალკე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი პოპულარობა მოიპოვა კადრების სწავლების ისეთმა კარგმა ფორმამ, როგორიც არის ᲗᲔᲛᲘᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ. საინტერესოდ წარიმართა, მაგალითად, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში მოწყობილი თეორიული კონფერენცია თემაზე: „პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები“. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარტიული კომიტეტების პირველმა მდივნებმა, ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებათა გამგეებმა.

კონფერენციის მასალები ცალკე წიგნად გამოიცა. განზრახულია მსგავსი თეორიული კონფერენცია კიდევ მოეწყოს.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სწავლების მთავარი ფორმა ჩვენს რესპუბლიკაში ᲞᲠᲝᲤᲡᲝᲞᲘᲡ სკოლებია, რომელიც შექმნილია პარტიის თვითეულ საქალაქო და რაიონულ კომიტეტთან. იქ მეცადინეობა, როგორც წესი, თვეში ერთხელ იმართება. სწავლობენ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ძირითად საკითხებს, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას. აქ შეთანხმებით ეცოტას ლაპარაკობენ, თუ რა უნდა გააკეთონ, ხოლო მეტს — რეგრეტ ბაკაძეᲛᲔ. კარგად არის მოწყობილი ასეთი პარტიული სკოლების მუშაობა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში, ცხინვალში, რუსთავში, ამბროლაურში, გალში, გარდაბანში, წყალტუბოში, ყვარელში, ხობში, სამტრედიაში, ზუგდიდში, ჩხოროწყუში, ხაშურში, ზესტაფონში, აბაშაში, ორჯონიკიძეში. მდივნებს დიდ დახმარებას უწევენ პარტიულ კომიტეტებში მოწყობილი ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტები.

ნამდვილი პარტიული მუშაკი მზად არის, თუ ეს აუცილებელია, იმუშაოს უძილოდ, ბეჯითად, და დაუსვენებლად. ასეთ მუშაკთა რიცხვი .სულ უფრო და უფრო იზრდება.

სამწუხაროდ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი მუშაკები, ადამიანები, რომლებმაც დამოუკიდებელი სწავლის სურვილი განაცხადეს, მაგრამ თვეობით მაინც არ კაკიდებენ ხელს წიგნს, დღეს არა, ხვალ ვისწავლითო, — ამბობენ და ფიქრობენ შემდეგ სწრაფად, ერთი ხელის დაკვრით ანიაზღაურონ დანაკლისი.. ისინი ცდებიან. ასე შეუძლებელია რევოლუციური თეორიის შესწავლა, პოლიტიკური ცოდნის შეძენა.

მეორენი, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდება წიგნის კითხვაზე, ჩვეულებრივ უჩივიან ᲓᲐᲙᲐᲕᲘᲠᲘᲡᲣᲚᲝᲑᲐᲡ და ᲓᲠᲝᲡ ᲣᲥᲝᲜᲚᲝᲑᲐᲡ. სადავო აო არის, რომ პრაქტიკული მოღვაწეობა ადამიანს ბევრ დროს ართმევს. მაგრამ დროის უქონლობით უწიგნურობის გამართლება ყოველად შეუძლებელია. იშვიათი როდინა, როცა ზოგიერთი მუშაკი, „მიმდინარე“ საქმეებში „ჩაფლულა“ ყოველთვის დრო აღარ რჩება წაიკითხოს ახალი წიგნი, წავიდეს თეატრში, კინოში, შეიიაროს ბიბლიოთეკაში, წიგნის მაღაზიაში.

რა დატვირთულიც უნდა იყოს მუშაკი, მან უნდა გამონახოს დრო სწავლისათვის. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ ჩვენი პარტიის მეზობარე ტრიბუნი ᲚᲔᲜᲘᲜᲘ. მიმართავდა რა იმათ, ვინც უჩიოდა თვითგანვითარებისათვის დროის უქონლობას და წამდაუწუმ იმეორებდა, მთელი დღე ენაგამოდებული დაგრიბვარო, იგი ურჩევდა: „სცადეთ თუნდაც ერთი საათით ენის მუკლეშენ... გდებდა და ნაიავთ, რომ ეკეყანა... დანაგრეგა, უკეთესი იქნება“...

არიან ისეთნიც, რომლებსაც ... ლებით არა სურთ სწავლა. თუ ისინი დამოუკიდებელი სწავლის ფორმას ირჩევენ, მხოლოდ იმისათვის, რომ შეიდგომაში შეიყვანონ სხვები, დაუფრენენ სწავლას, დაფარონ თავიანთი უზრუნველობა, შირმად გაიხადონ იგი. ხომ ფაქტია, რომ კონტროლის უქონლობის გამო ბევრი წყვეტს სწავლას.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მრავალი წარგზავნილი სწავლობს მოსკოვში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, და ბაქოში, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ სკოლაში. ბევრი მათგანი ბეჯითად სწავლობს. სკოლებში გასაგზავნად ამხანაგების შერჩევა მკაცრად ხდება. მაგრამ ზოგჯერ პარტიული კომიტეტები რეკომენდაციას აძლევენ სუსტ, უმეურსპეკტივო მუშაკებს, რათა ამით თავიდან მოიცილონ ისინი. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ მუშაკს უნდა შეეძლოს იმუშაოს არა მარტო წიგნზე, არამედ ბერიოდულ პრესაზეც. „მე უგაზეთოთ მუშაობა არ შეიძლია“ — ამბობდა ვ. ი. ლენინი, რითაც ხაზს უსვამდა ჟურნალ-გაზეთების უდიდეს როლს. ამჟამად ძნელია წარმოიდგინო ისეთი მუშაკი, რომელიც რომელიმე გაზეთისა და ჟურნალის მუდმივი მკითხველი არ იყოს. პოლიტიკური პერიოდიკა მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ყოფაცხოვრებაში, სავსებით ბუნებრივია, რომ რა დიდი უბარი და დროა ჰქონდეს პარტიულ მუშაკს, იგი ვერ გასწვდება მთელ პოლიტიკურ პერიოდიკას. მაგრამ მას არ ძალუძს გვერდი აუაროს „პრავდას“, ისეთ პარტიულ ჟურნალებს, როგორიც არის „კომუნისტ“, „პარტიინაია ჟიზნ“, რეპუბლიკური ენრალ-გაზეთები.

კადრების აღზრდის ... საქმიანობა ისე უნდა წარიმართოს, რომ მათ გამოვლენილ ორგანიზატორული მუშაობის ნიჭიანები, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი, დაუცხრომელი სურვილი ... ეი რა ... ეი რა ... ეი რა

თვალსაჩინო მიღწევა

უცხოეთის გამოცდაურება „ლუნა-16“-ის მთვარიდან სტარტის გამო

შეეწყვიტეს რა ხუთა გადაცემები, ჯუხელ საზღვარგარეთის საინფორმაციო სააგენტომამ, რადიომ და ტელევიზიამ როგორც ძალიან მნიშვნელოვანი ახალი ამბავი გადაცეს, რომ „ლუნა-16“ საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა შეასრულა მთვარის ზედაპირზე მუშაობის პროგრამა და სტარტი აიღო დედამიწისაკენ.

„საბჭოთა კავშირმა დიდი ტექნიკური წარმატება მოიპოვა, მან განახორციელა რბილი დაშვება მთვარის ზედაპირზე და შემდეგ მოახდინა „ლუნა-16“ ავტომატური სადგურის აფრენა მთვარის ზედაპირიდან“, — ნათქვამია ფრანს პრესის საააგენტოს კომენტარში, ეს ექსპერიმენტი, აღნიშნულია შემდეგ, ხელს უწყობს „ლუნასა“ და „ზონდის“ პროგრამების ფარგლებში ბევრი მოსამზადებელი ფრენის დამთავრებას.

„პირველად მეორე ციური სხეულიდან განხორციელდა უპილოტო კოსმოსური ბომბლიის სტარტი“, — ხაზგასმულია იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საააგენტოს ცნობაში.

რეიტერის საააგენტო აგრეთვე უურადღებას მიაპყრობს ამ ფაქტს, რომ კოსმოსური კვლევის ისტორიაში პირველად უპილოტო ხომალდი დაეშვა მთვარეზე და შემდეგ იქიდან სტარტი აიღო დედამიწისაკენ. „საბჭოთა კავშირმა, — ნათქვამია რეიტერის ამ ცნობაში, — მიიღო მთვარის ქანების ნიმუშები, ამასთან საფრთხეში არ ჩაუგდია ადამიანის სიცოცხლე“.

ნიუ იორკი. რადიომ და ტელევიზიამ გადასცეს საკადრისი ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა შეასრულა მთვარეზე მუშაობის პროგრამა და აფრინდა მთვარის ზედაპირიდან. გადაცემებში აღნიშნულია, რომ „ლუნა-16“-მა აიღო მთვარის ქანების ნიმუშები, რომლებსაც დედამიწაზე ჩამოიტანს.

ბონი. „შესანიშნავი ასტრონავტიკული წარმატება“ უწოდა ბოსტონის ობსერვატორიის დირექტორმა კამინსკიმ „ლუნა-16“ საბჭოთა ავტომატური სადგურის სტარტს.

უეკიპაჟო ავტომატური სადგურის რბილი დაშვება და შემდეგ დედამიწაზე დაბრუნება, ხაზი გაუსვა მან, ახალ შესაძლებლობებს შექმნის „მზის სისტემის პლანეტების უფრო ეკონომიური და უსაშიშრო ათვისებისათვის“.

დპა-ს საააგენტო, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რადიო და ტელევიზია „უკანასკნელ ცნობებში“ იუწყებიან, რომ „ლუნა-16“-მა სტარტი აიღო მთვარიდან და რომ დედამიწისაკენ მოფრინავს კოსმოსური რაკეტა, რომელსაც მოაქვს მთვარის ქანების ნიმუშები.

სახიფათო თამაში

● მშვიდობის მსოფლიო საბჭო იორდანიის ამბების შესახებ ● მდგომარეობა ირანში

ჟენევა, 22 სექტემბერი. (საკადესი). მსოფლიო საზოგადოებრიობა დიდადა შეშფოთებული იორდანიის სიშიში ამბებითა და შეერთებული შტატების, ნატოს სხვა წევრი სახელმწიფოებისა და ისრაელის ცდებით, გამოიყენონ ეს ამბები სამხედრო ჩარევის საბაბად. იორდანიაში ახლანდელი ვითარების შენარჩუნება დაკავშირებულია კონფლიქტის გაფართოების რისკთან და საფრთხეს უქმნის ამ რაიონისა და მთელი მსოფლიოს უშიშროებასა და მშვიდობას. ეს ნათქვამია განცხადებაში, რომელიც აქ გამოაქვეყნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა რ. ჩანდრამ.

შეერთებულ შტატებსა და ისრაელს მოკავშირეებს, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, სურთ სარგებელი ნახონ იორდანიის ამბებიდან, რომ განაახორციელონ სამხედრო ჩარევა ახლო აღმოსავლეთის საქმეებში, ზუსტად ისევე, როგორც ისინი მოიქცნენ ლიბანში 1958 წელს. ისინი განზრახან ამწვავებენ ვითარებას ამ რაიონში.

ამერიკის შეერთებული შტატები მეექვსე ფლოტის ხომალდებს თაუს უყრის ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ახლო აღმოსავლეთის კრიზისული ზონის საზღვარზე შეერთებული შტატების, ინგლისისა და ნატოს სხვა წევრი სახელმწიფოების სამხედრო-საპაერო ძალები საბრძოლოდ არიან გამზადებული. ისრაელისათვის იორდანის ახალი მიწოდების გარდა, შეერთებული შტატები აგრესორს ჰპირდება შემდგომ დიდ ეკონომიურ და ფინანსურ დახმარებას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო აფრთხილებს საზოგადოებრივ აზრს იმპერიალისტური სახელმწიფოებისა და ისრაელის ამ მანევრების წინააღმდეგ, რომლებიც უღრესად სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მშვიდობას, და მოუწოდებს მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებს განახორციელონ ენერგიული კონტრღონისძიებანი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სახელით რ. ჩანდრამ მოუწოდა არაბული სამყაროს ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის მებრძოლ მთელ ძალებს, განამტკიცონ ერთობა ისრაელი აგრესორისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

ბეირუთი, 22 სექტემბერი (საკადესი). მიუხედავად იმისა, რომ გუშინ ორდანიის მეფე ჰუსეინმა უბრძანა თავის ჯარებს „დაუყოვნებლივ და ყველგან“ შეეწყვიტათ ცეცხლი, იორდანიის არმიასა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის რაზმებს შორის გრძელდება შეიარაღებული შეტაკებანი.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის რადიოსადგურის განცხადებათა თანახმად, რომელიც დამასკოდან აწარმოებს გადაცემებს, პალესტინის წინააღმდეგობის რაზმები ინარჩუნებენ იორდანიის ჩრდილოეთ რაიონებს, მათ შორის სადიდით მეორე ქალაქ ირბიდს. პარტიზანთა კონტროლს ექვემდებარება ავრეთვე ქალაქები ჯარაში და ეს-სალტი.

თავის მხრივ, ამანის ოფიციალური რადიო იუწყება მთავრობის ჯარების წარმატებებს ბრძოლის ყველა უბანზე.

ვითარება იორდანიის დედაქალაქში დაძაბულია. ქალაქის ზოგიერთ რაიონში განვლილი დღეღამეების მანძილზე იყო სროლა. მაგრამ, ორივე მხარის ცნობებიდან ... [illegible] ... ბ. ... [illegible] ... ბ. ... [illegible] ... ბ.

მარუხის გმირები ყაზბეგში

ყაზბეგი. (საკ. კორ.). მოხეველებმა კარგი მასპინძლობა გაუწიეს მარუხის უდელტეხილის გმირი დამცველების ლაშქრობის მონაწილეებს. ლაშქრობა მოაწყეს პარტიის ჭუთაისის საქალაქო კომიტეტმა, კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა და სამამულო ომისა და პარტიზანული მოძრაობის ჭუთაისის ვეტერანთა საბჭომ. ლაშქრობის მონაწილეთა რიცხვში იყვნენ მარუხის გმირული ეპოპეის უშუალო მონაწილენი ა. ალფაიძე, ლ. მშვენიერაძე, ა. გვანცელაძე, ი. ადეიშვილი, უურნალისტები შ. გაგიშვილი, შ. ლორთქიფანიძე.

ომის გმირებს რაიონის მოსახლეობა დიდი სიყვარულით ხვდებოდა. სტუმრებმა დათვალიერეს ხევის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ალ. ყაზბეგის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ყაზბეგიდან ისინი გაემგზავრნენ ქ. ჩერკასკში, სადაც დაესწრებიან მარუხის გმირული დაცვის 28 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმს.

ᲙᲮᲙᲚ ᲒᲘᲜᲔᲑᲨᲘ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. 22 სექტემბერი. (საქდესი). წელს სამასზე მეტმა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა. მარტო ლენინის სახელობის შახტში საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ახალი ბინების გასაღებები მიიღო 120-ზე მეტმა ოჯახმა. მათ შორის არიან წმენდიდთი სანგრეკვის მუშა ნ. ბუაძე, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ვ. ხაბალოვი, გამყვანი შ. სოხაძე, მებაგე დ. გოლოძე და სხვ.

შენდება კიდევ სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

თიანეთი. (საკ. კორ.). სულ უფრო და უფრო უმჯობესდება ივრისპირეთში საავტომობილო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურება. ახლახან დაწესება კიდევ ერთი საავტობუსო მარშრუტი — „ზარიძეები-თბილისი“, რომელსაც ყოველთვის ბევრი მგზავრი ჰყავს.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲠᲣᲫᲐᲠᲘ

სამტრედია. (საკ. კორ.). საუკეთესო საჩუქარი მიიღო ქალაქის ახალგაზრდობამ — აშენდა ამირკავკასიის რკინიგზის № 24 საშუალო სკოლის ახალი შენობა. მას ნათელ და ვრცელ საკლასო ოთახებთან ერთად აქვს საუკეთესო კაბინეტ-ლაბორატორიები, ფიზკულტურის დარბაზი, სამკითხველო.

პირველობა მოიპოვა...

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ ᲡᲐᲓᲝᲥᲢᲝᲠᲝ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲘᲪᲕᲐ ᲘᲔᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ



ᲮᲣᲚ ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ენათმეცნიერმა **გურამ რამიშვილმა** წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია იენის (გდრ) ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში. დისერტაციის თემა იყო **„ენის შინაფორმის პრობლემა თანამედროვე ლინგვისტიკაში“.**

როგორც გერმანული პრესა წერს, ამ უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე გ. რამიშვილი არის პირველი საბჭოთა მეცნიერი, რომელმაც მეცნიერებათა დოქტორის უმაღლესი ხარისხი მოიპოვა გერმანულ უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად გერმანულ უნივერსიტეტებში მოქმედებს სამეცნიერო ხარისხის მინიჭების სამსაფეხურიანი სისტემა: პირველი — აკადემიური ხარისხი დიპლომის სახით მეცნიერების რომელიმე დარგში; მეორე — დოქტორის აკადემიური ხარისხი, რაც ჩვენი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის ფარდაა, და მესამე — მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, რაც ჩვენს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს უდრის. გ. რამიშვილს სწორედ ეს უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

ენის შინაფორმის იდეა, რომელიც წამოაყენა ვ. ფონ ჰუმბოლდტმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, თანამედროვე თეორიული ლინგვისტიკის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ სადისკუსიო პრობლემად იქცა. გერმანელი კოლეგებისათვის გ. რამიშვილი ცნობილი იყო თავისი გამოკვლევებით ვ. ჰუმბოლდტის ენის თეორიული მემკვიდრეობისა და საკუთრივ ენის შინაფორმის შესახებ. 1967 წელს პროფესორმა **გ. პეჩმა** გერმანულად თარგმნა მისი ნაშრომი „ენის ფორმის ცნება ვ. ჰუმბოლდტთან“. ენის შინაფორმის პრობლემას მიეძღვნა მისი მოხსენება ენათმეცნიერთა მე-10 საერთაშორისო კონგრესზე ბუქარესტში.

იენის უნივერსიტეტის მიწვევით დოცენტი გ. რამიშვილი ორ წელიწადს ᲗᲘᲛᲣᲠᲘᲐᲖᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ 120-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲗ ᲛᲝᲬᲐᲮᲛᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲬᲛᲔᲜᲓᲘᲗᲝᲜᲘ ᲡᲐᲜᲒᲠᲔᲯᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ ნ. ᲑᲣᲐᲫᲔ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘ ვ. ᲮᲐᲑᲐᲚᲝᲕᲐ, ᲒᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ შ. ᲡᲝᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲑᲔᲒᲘ დ. ᲒᲝᲚᲝᲫᲔ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

შენდება კიდევ სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

თიანეთი. (საკ. კორ.). სულ უფრო და უფრო უმჯობესდება ივრისპირეთში საავტომობილო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურება. ახლახან დაწესება კიდევ ერთი საავტობუსო მარშრუტი — „ზარიძეები-თბილისი“, რომელსაც ყოველთვის ბევრი მგზავრი ჰყავს.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲠᲣᲫᲐᲠᲘ

სამტრედია. (საკ. კორ.). საუკეთესო საჩუქარი მიიღო ქალაქის ახალგაზრდობამ — აშენდა ამირკავკასიის რკინიგზის № 24 საშუალო სკოლის ახალი შენობა. მას ნათელ და ვრცელ საკლასო ოთახებთან ერთად აქვს საუკეთესო კაბინეტ-ლაბორატორიები, ფიზკულტურის დარბაზი, სამკითხველო.



დაცვასთან დაკავშირებით იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ფრანც ბოლკმა წერილი გამოუგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ი. ვეკუას. აი რას წერდა იგი: „... ჩემთვის მეტად სასიამოვნოა გაცნობოთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ბატონმა გურამ რამიშვილმა წარმატებით დაასრულა თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტში... განსაკუთრებით სიხარულს მგვრის ის ფაქტი, რომ პირველი უცხოელი მეცნიერი, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სენატმა ეს მაღალი აკადემიური ხარისხი მიანიჭა, იმ უნივერსიტეტის წარმომადგენელია, რომელთანაც ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს. დამსახურებისათვის როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ მოღვაწეობაში გ. რამიშვილი დაჯილდოებულ იქნა ფრ. შილერის სახელობის სპეციალური მედლით“.

ამჟამად გ. რამიშვილი ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲙᲘᲑᲔᲠᲜᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲤᲔᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲕᲘᲥᲣᲜᲗᲔᲚᲘ ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲘᲠᲐᲥᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲛᲘᲦᲝᲑᲘᲗ ᲐᲛᲑᲐᲠᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐ